**კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად ისწავლეთ კომუნიზმი! დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას! იყავით კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მებრძოლები!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

კვირას უჩვეულო ზალხმრავლობა იყო საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში. აქ ათასობით სტუმარ-მასპინძელი შეგროვდა სახალხო ზეიმ მცხეთობაზე, რომელიც მცხეთის ქალაქ-მუზეუმად გამოცხადებას მიეძღვნა. ზეიმის მონაწილენი მრავალი საინტერესო თეატრალიზებული და ფიზკულტურულ-სპორტული სანახაობის მოწმენი გახდნენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 198 (6509)

16 1979 წ. ოქტომბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დღესასწაული არაგვისა და მტკვრის შესართავთან



ქალაქში მრავლად იყო ყვავილები, დროშები, სიმღერა. მცხეთა ისე მორთულიყო, ისე გაკოხტავებულიყო, გეგონებოდა მედღეობეაო.

მართლაც, კაცმა რომ თქვას, განა ისე ბევრია ქვეყნად ქალაქები, რომლებიც „სიცოცხლეშივე" გამოაცხადეს მუზეუმად? საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ერთი მათგანი გახლავთ. აქ ორმოცზე მეტი ისტორიული ძეგლია და ყველას სახელმწიფო იცავს. ქალაქ-მუზეუმად მცხეთის გამოცხადების დღე გახდა სწორედ ის დღესასწაული, რომელიც აქ კვირას გაიმართა.

მარადიული მშვენიერებისა და სიბრძნის გამოხატულებად აღმართულა არაგვისა და მტკვრის კლდოვან ნაპირებზე მცხეთა — უძველესი ისტორიისა და მაღალი კულტურის ქალაქი.

მცხეთის ხსენებაზე თვალწინ გვიდგებიან გმირები, საქართველოს რომ იცავდნენ მოვარდნილი მტრისაგან. სვეტიცხოველშია დაკრძალული სპარსთა მძლეველი ვახტანგ გორგასალი, რომელზეც ხალხურ სიმღერაში ნათქვამია: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა". ამ ტაძარში განისვენებს ერეკლე მეორე, რომელმაც თითქმის 200 წლის წინ მოაწერა ხელი ისტორიულ სამეგობრო ხელშეკრულებას რუსეთთან.

ამდენი სტუმარი აქ ერთდროულად ალბათ არასდროს ჩამოსულა. მართლაც რომ ზღვა ხალხი შეიკრიბა: მოდიოდნენ მანქანებით, მოდიოდნენ ფეხით. ბევრმა გრძელი გზა გამოიარა. ამ ნათელ დღესასწაულზე საქართველოს თითქმის ყველა რაიონმა გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები. ეს მართლაც რომ ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი იყო, დღესასწაული ქუჩებიდან და მოედნებიდან მტკვრისა და არაგვის ნაპირებს, ქალაქის ახალ ტყე-პარკს მოედო. დღესასწაული კი კარლ მარქსის მოედანზე დაიწყო. მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბარისაშვილი, პოეტები ჯ. ჩარკვიანი და ი. ნონეშვილი, არქეოლოგი ა. აფაქიძე, მასწავლებელი მ. მაჩხანელი და სხვები.

ზურნა-დუდუკის კვრით, დოლის ცემით საზეიმოდ ჩამოიარეს ქუჩებში ძველი სახალხო თეატრალიზებული წარმოდგენის — ბერიკაობის მონაწილეებმა. იგი სიმბოლურად გამოხატავს მოსავლის დღესასწაულს. ჭრიალით მოდიოდნენ წლევანდელი ჭირნახულით სავსე ურმები. მიმდინარე წელი ძნელი გამოდგა, მაგრამ სოფლის მშრომელები მას ღირსეულად ამთავრებენ.

ქუჩებიდან და მდინარის ნაპირებიდან, სადაც ერთმანეთს ნიჩბოსნები ეჯიბრებოდნენ, დღესასწაულმა ქალაქის ახალ პარკში გადაინაცვლა. ჰაერში ტრიალებდა მწვადის სურნელი, ცხელ თონეებში შოთის პურებს აკრავდნენ. ყველას ურიგებდნენ სუვენირებს — ხელადებს და ფიალებს. პარკში ატრაქციონები მუშაობდა.

დღესასწაული მთელ ქალაქს მოედო. მისი მონაწილენი წვიმასაც კი არად აგდებდნენ. ფალავნები ერთმანეთს ერკინებოდნენ სანდრო კანდელაკის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში, ქალაქის სტადიონზე ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. თბილისის სამედიცინო და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტებმა მაყურებლებს უჩვენეს ძველი თამაშის „ლელოს" ხელოვნება, ხოლო მშვილდოსნებმა — ისრის ტყორცნის ოსტატობა.

საღამოჟამს, მზის ჩასვლისას, ქალაქის ცენტრში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც თბილისის საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ.

ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება ისტორიას და თავის ახალ ტრადიციებს ქმნის...

დღესასწაულზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. შევარდნაძე, ამხანაგები გ. კოლბინი, ჯ. პატიაშვილი.

(საქინფორმი).

•



მცხეთობის სახალხო დღესასწაულზე ქალაქ-მუზეუმის სპორტულ ბაზებსა და მოედნებზე გაიმართა საჩვენებელი შეხვედრები და კალენდარული მატჩები მთელ რიგ ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. ლამაზი სანახავი იყო სადღესასწაულო მხედრიონი (ზედა ფოტო). ქართულ მოჭიდავეთა ასპარეზობაზე ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ფალავანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. თედიაშვილი არბიტრის მოვალეობას ასრულებდა (მარცხნივ).

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია მცხეთის „არაგვისა" და წალკის „თრიალეთის" ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მომენტი საქართველოს პირველობაზე.



● ოლიმპიურ ტალღაზე



რესტორან „პრაღის“ კონდიტერმა კომკავშირელმა ნ. ტატუევამ გაიმარჯვა მოსკოვის ახალგაზრდა კონდიტერთა კონკურსში, რომლის მონაწილეები მოემსახურებიან მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩამოსულ სტუმრებს.

საკდესის ფოტო.

## სამი ჯილდოს პრეტენდენტი

**ნაირობი.** მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა 3000 მეტრზე წინაღობებით, 3000, 5000 და 10000 მეტრზე რბენაში, კენიელმა ჰენრი რონომ გაზეთ „დეილი ნეიშნის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე „თავის“ სამ ნომერში (როგორც ცნობილია, რბენა 3000 მეტრზე ოლიმპიურ პროგრამაში არ არის) ოლიმპიური ჯილდოებისთვის იბრძოლებს.

„ყველა ამ დისტანციაზე გამარჯვების პრეტენდენტი ვიქნები, — განაცხადა რონომ. — ჩემი ყველაზე საშიში მეტოქე 5000 და 10000 მეტრზე რბენაში ეთიოპიელი მორბენალი მ. ეფტერი იქნება. მთავარია არ გამომეპაროს მისი საფინიშო სპურტი“.

რონომ აღიარა, რომ წინაოლიმპიური წელი მისთვის ნაკლებ წარმატებითი იყო, ვიდრე წინა წელი. „პრესის, რბენის მოყვარულთა და სპეციალისტების ყურადღება სხვა სპორტსმენებმა მიიპყრეს, მე კი ივნისიდან ვისვენებდი შინ“, — თქვა მსოფლიო რეკორდსმენმა.

სექტემბერში რონო ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა. დასაწყისში კენიის მთებში დარბოდა, შემდეგ გაემგზავრება აშშ-ში, სადაც იგი ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლობს, და შეუდგება ოლიმპიადა-80 ისთვის მზადების დასკვნით ეტაპს. (საკდესი).

## ყველაფერი მზადაა

**ბერლინი.** „ხელბურთელთა 1980 წლის ოლიმპიური ტურნირისთვის მოსკოვი საუკეთესოდ მოემზადა. ამაში დავრწმუნდი საბჭოთა დედაქალაქში სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ყოფნისას“, — განაცხადა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იგფ) პრეზიდენტმა პ. ჰეგბერგმა (შვეცია).

„სპორტული დარბაზების აღჭურვა დამთავრდება მომავალი წლის დასაწყისში, ხოლო მატჩების კალენდარი უკვე დამტკიცებულია. ასე რომ, არავითარი პრობლემა არ არის გადასაჭრელი“, — თქვა ჰეგბერგმა. მან მაღალი შეფასება მისცა სოციალისტური ქვეყნების წვლილს ხელბურთის განვითარებაში.

(საკდესი).

## „ოლიმპიური მოსკოვი“ — პარიზში

**საფრანგეთის** დედაქალაქში გაიხსნა გამოფენა „ოლიმპიური მოსკოვი“. აქ მოსულმა პარიზელებმა ნახეს მოსკოვის ფართო პროსპექტების, წითელი მოედნის, დიდი თეატრის, ოლიმპიური სოფლის, ცნობილი საბჭოთა სპორტსმენების, მომავალი ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედლების ფოტოსურათები და უამრავი სხვა ექსპონატი. ექსპოზიცია განლაგებულია იუნესკოს შტაბ-ბინის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში. სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდის ქვეშ „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად მოეწყო გამოფენა.

— ექსპოზიციამ და ახლახან მოსკოვში ყოფნამ დამარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალ ოლიმპიურ თამაშებს, მასობრივ სპორტს, — გამოფენის საზეიმო გახსნაზე თქვა იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა მბოუმ. — მე საბჭოთა დედაქალაქში მიმდინარე გრანდიოზული სპორტული მშენებლობის მოწმე ვარ. „ოლიმპიადა-80“-ის ყველა ნაგებობა, რომელთა უმრავლესობა უკვე აშენებულია, თანამედროვე, ლამაზი და მოხერხებულია.

— უფრო კომფორტაბელური სპორტული დარბაზები და სასახლეები არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს, — განაგრძო მბოუმ. — და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „ოლიმპიადა-80“-ის დამთავრების შემდეგ ყველა ეს სტადიონი, დარბაზი, აუზი, სპორტული მოედანი ფართოდ გაუღებს კარს მილიონობით მოსკოველ სპორტის მოყვარულს, რომლებიც, როგორც მე შევნიშნე, თავისუფალ დროს სიამოვნებით უთმობენ ფიზკულტურას. საბჭოთა ადამიანებისთვის ახლობელი და გასაგებია ოლიმპიზმის იდეალები. დარწმუნებული ვარ „ოლიმპიადა-80“ ხელს შეუწყობს მშვიდობას, პლანეტის სპორტსმენებსა და ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

...გამოფენა ერთ თვეს გასტანს. აქ მოსულ პარიზელებს გულღიად შეხვდება გამოფენის ერთ-ერთი მთავარი ექსპონატი — მომღიმარი ოლიმპიური დათუნია, რომელიც უკვე შეიყვარეს პარიზელებმა. (საკდესი).

● საოჯახო სპარტაკიადა

# მე, ბებია, დედა და მამა

**„განთიადის“** ცენტრალური საბჭოს ინიციატივით გამართულ საოჯახო სპარტაკიადაში, რომელიც პირველი რესპუბლიკური ღონისძიებაა, მონაწილეობდნენ ისეთი გუნდები, რომლებიც ერთი ოჯახის წევრებით იყვნენ დაკომპლექტებულნი: ზოგში დედ-მამა და შვილები შედიოდა, ზოგს კი ბაბუები, ბებიები და შვილიშვილები შეადგენდნენ.

რესპუბლიკის დედაქალაქის ბაზებზე საბრძოლველად 13 ქალაქის 17 გუნდი შეგროვდა თბილისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ხაშურიდან, ფოთიდან, სამტრედიიდან, რუსთავიდან, ორჯონიკიძიდან, მახარაძიდან, წულუკიძიდან, ბოლნისიდან და საგარეჯოდან.

არც ერთ სხვა შეჯიბრებაში არ შეიძლება შეხვდეთ ასაკის ისეთ სხვაობას, როგორიც საოჯახო სპარტაკიადების პროგრამით გამართულ ასპარეზობებშია დასაშვები. აქაც ასე იყო: ტურნირის უხუცესი მონაწილე გახლდათ 83 წლის თბილისელი დიმიტრი სტეპანოვი, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა— 9 წლის ხაშურელი გიორგი გელაშვილი. ასაკთა ასეთ სხვაობას ხელი არ შეუშლია ერთსაც და მეორესაც ჭადრაკის დაფასთან მთელი თავისი ცოდნა და უნარი გამოევლინებინათ და ამით წვლილი შეეტანათ თავიანთი ოჯახების წარმატებაში. ჭადრაკში გიორგი გელაშვილმა VII ადგილი დაიკავა. დიმიტრი სტეპანოვი კი VIII ადგილზე გავიდა. ყველას რუსთაველი სტეფანე ოგანეზოვის ოჯახის თავმა აჯობა. სტეფანეს გუნდში მისი მეუღლე ირინა და ორი ვაჟიშვილი შედიოდა. ამ კვარტეტმა საბოლოოდ 17,5 საჯარიმო ქულა მიიღო და სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში იყო რბენა, მაგიდის ჩოგბურთი, ბაგირის გადაძალვა, ჭადრაკი და შაში, საერთო მეორე ადგილი დაიკავა.

პირველ სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა ვეფხვაძეების ოჯახმა ორჯონიკიძიდან. 54 წლის სიმონ ვეფხვაძის გუნდში მისი 52 წლის მეუღლე თამარი, 25 წლის ვაჟიშვილი გულადი და 13 წლის შვილიშვილი მიხეილი იყვნენ. გულადი მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირის მეორე პრიზიორი გახდა, მიშიკომ რბენაში მესამე შედეგი აჩვენა. ყველას კი მაინც ოჯახის დედამ აჯობა, რომელმაც შაშში პირველი ადგილი დაისაკუთრა. საბოლოო ჯამში ვეფხვაძეების ოჯახმა 11,5 საჯარიმო ქულა მიიღო.

ამ საინტერესო სამდღიან ტურნირში მესამე სპორტული ოჯახის სახელი მოიპოვა ფოთელი რევაზ სარუმოვის გუნდმა, თუმცა ვარაუდობდნენ, რომ ხაშურელი ომარ გელაშვილის ოჯახთან ერთად სარუმოვების კვარტეტს სატურნირო ცხრილის სათავეში უნდა დაეკავებინა ადგილი.

საქმე იმაშია, რომ ოჯახთა თავები სპორტული მუშაკები არიან: რეზო ფოთის „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობს, ხოლო ომარი ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტია. ამ ორი კოლექტივის თავისებურ დუელში გელაშვილები ოდნავ ჩამორჩნენ და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ...

— საერთო გუნდურ ტურნირში VII ადგილი თითქოს დიდი ბედენა როდია, მაგრამ ჩემისთანა მოხუცი კაცი ამ შედეგითაც კმაყოფილი უნდა ვიყო, რადგან ათი წლის შვილიშვილ დიმასთან, შვილ მიხეილთან და რძალ ასიასთან ერთად შევძელით სხვებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ სტეპანოვების სამ თაობასაც შესწევს ბრძოლის უნარი. — კმაყოფილებით აღნიშნა დიმიტრი სტეპანოვმა.

აქვე დავუმატებთ, რომ მისი ოჯახის ამ წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი სწორედ მისმა ვაჟმა მიხეილმა შეიტანა — მაგიდის ჩოგბურთში ყველა მეტოქეს სძლია.

საქართველოს პროფსაბჭოს მანეჟი და თბილისის „გამარჯვების“ პარკი იყო ამ საინტერესო ტურნირების მასპინძელი, მართალია, ეს პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება ხარვეზებისგან არ იყო დაზღვეული, მაგრამ სპარტაკიადის ჩატარებით „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ უთუოდ კარგი საქმე გააკეთა — მის სისტემაში მომუშავეთა ოჯახები დააინტერესა კიდევ უფრო დამეგობრებოდნენ ჯანმრთელობის ისეთ უშრეტ წყაროს, როგორიც ფიზკულტურა და სპორტია.

**ლ. გელაშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** შეჯიბრების მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





● ფარიკაობა



## მ ე ო რ ე ა დ გ ი ლ ზ ე

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფარიკაობაში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიის, რსფსრ-ს, მოსკოვის, ლენინგრადის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლები.

შეჯიბრება დაიწყეს ხმლით მოფარიკავე ვაჟებმა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ სპორტის ოსტატები თ. ესართია, გ. პაიჭაძე და დ. ბუხაიძე. 4 გამარჯვებით თ. ესართიამ I ადგილი დაიკავა. 3-3 გამარჯვება ჰქონდათ ა. ქუიკოვს (რსფსრ) და გ. პაიჭაძეს, მიღებული და მიყენებული ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით II ადგილზე გავიდა ა. ქუიკოვი, ხოლო III ადგილი ერგო გ. პაიჭაძეს.

გუნდურ პირველობაში საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა ფინალში დაამარცხეს რსფსრ-ს გუნდი (13:4) და I ადგილი დაიკავეს, II ადგილზეა რსფსრ-ს, ხოლო მესამეზე — მოსკოვის გუნდი.

რაპირისტ ქალთა პირად შეჯიბრებაში დამატებითი შეხვედრის შემდეგ I ადგილი დაიკავა გ. სუშენკომ (ბელორუსია), II ადგილზეა ს. სკვორცოვა (რსფსრ), III-ზე — ტ. გერასიმოვიჩი (საქართველო).

გუნდურ პირველობაში ჩვენმა ქალთა ნაკრებმა ჯერ დაამარცხა აზერბაიჯანის (13:12), შემდეგ კი ბელორუსიის კოლექტივი (13:11) და ფინალში შეხვდა უკრაინის ძლიერ გუნდს. დასაწყისში დაწინაურდნენ ჩვენი რაპირისტები, ხოლო შემდეგ თანდათან დათმეს უპირატესობა, დამარცხდნენ ანგარიშით 10:13 და II ადგილზე გავიდნენ, III ადგილზეა ბელორუსიის ნაკრები.

ვაჟ რაპირისტთა პაექრობაში ჩვენი რესპუბლიკიდან სამეულში ვერავინ მოხვდა.

გუნდურ პირველობაში I-II ადგილებისთვის იბრძოდნენ უკრაინისა და რსფსრ-ს სპორტსმენები. ეს შეხვედრა უკრაინელთა გამარჯვებით დამთავრდა (13:10), ხოლო III ადგილზე საქართველოს რაპირისტები გავიდნენ.

დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა მ. გორელოვმა (მოსკოვი), II — ვ. სუშენკომ (ბელორუსია), III — ვ. მაზანოვმა (აზერბაიჯანი).

გუნდურ პირველობაში I ადგილზეა უკრაინის ნაკრები, II— რსფსრ, III — მოსკოვი. საქართველოს გუნდი IV ადგილით დაკმაყოფილდა.

საბოლოო შედეგებით საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — რსფსრ (199,5 ქულა), II — საქართველო (179), III — უკრაინა (177,5).

დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის“ ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაში. ნაკრების წევრები წვრთნას თბილისში გაივლიან.

**კ. სალუქვაძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** დაშნით მოფარიკავეების გ. ჯილაურისა (საქართველო) და ვ. პევზნერის (რსფსრ) ორთაბრძოლის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# საერთაშორისო შეხვედრა

**14 ოქტომბერს** მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ანგარიში მე-16 წუთზე გახსნა ხიდიატულინმა, რომელმაც კუთხური გათამაშების შემდეგ გაგზავნა ბურთი რუმინელთა კარში. 2 წუთის შემდეგ სტუმრებმა უხეშად ითამაშეს იარცევის წინააღმდეგ და ბურიაკმა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიში გაზარდა 2:0-მდე.

ამის შემდეგ რუმინელთა მცველმა ნიკოლაემ გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელთა იერიშები მესამე გოლით აღინიშნა, რომლის ავტორი იყო იურჩიშინი.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გონტარი, ლოზინსკი, ნიკულინი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, ხიდიატულინი, შავლო, ბურიაკი, გავრილოვი (ოგანესიანი), იარცევი (ხაპსალისი), იურჩიშინი. გუნდს მატჩისთვის ამზადებდნენ ო. ბაზილევიჩი და ს. მოსიაგინი.

## I ლიგა

14 ოქტომბერს სიმფეროპოლში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „ტავრიასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის.

გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს — 1:0.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „კუზბასი“ (კემეროვო) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:3, „დინამო“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „თერგი“ (გროზნო) 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — ასკ (ოდესა) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:1, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:2, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0.

ევროპის II პირველობის მონაწილენი ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის (21 წლამდე) 8 შესარჩევ ჯგუფად არიან დაყოფილი. როგორ გამოიყურებიან ასპარეზობის მონაწილე გუნდები?

**პირველ ჯგუფში** (ინგლისი, დანია, ბულგარეთი) 6 ქულით წინ არიან ინგლისელები. საინტერესოა, რომ ლიდერმა 2 მატჩი სტუმრად ითამაშა და საპასუხო შეხვედრების წინ ნამდვილად „თავი ქუდში აქვს“.

სამაგიეროდ, ერთობ ბუნდოვანია მდგომარეობა **მეორე ჯგუფში** (შოტლანდია, ბელგია, პორტუგალია, ნორვეგია). 2 მოგებითა და 2 ფრეთი ლიდერობენ შოტლანდიელები, მაგრამ დადებითი ბალანსი აქვთ ბელგიელებსაც (1 მოგება, 1 ფრე). ამ ჯგუფში დიდი მნიშვნელობა ექნება ბელგია-შოტლანდიის მატჩს, რომელიც 20 ნოემბერს არის დანიშნული ბრიუსელში.

**მესამე ჯგუფში** ესპანელებსა და კიპროსელებთან ერთად გამოდიან ევროპის პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული იუგოსლავიელები. მათ ახლაც კარგად აქვთ საქმე: სტუმრად დაამარცხეს ესპანელები და შინ — კიპროსელები, თუმცა ორივე შემთხვევაში ჩემპიონებმა მხოლოდ თითო ბურთი გაიტანეს.

# შორი გზის ნახევარი

## ევროპის ახალგაზრდული პირველობა

**მეოთხე ჯგუფში** (გდრ, პოლონეთი, ჰოლანდია) დაძაბული სიტუაციაა. გერმანელებმა (შინ) და პოლონელებმა (სტუმრად) მოუგეს ჰოლანდიელებს (შესაბამისად 2:0 და 3:2), გდრ-ისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა პიოტრკოვში (პოლონეთი) დამთავრდა ფრედ — 1:1. წინ არის გდრ-ის ნაკრები — 5 ქულა.

**მეხუთე ჯგუფში** (ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, შვეცია) მტკიცეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების პოზიცია, რომელმაც გაიმარჯვა სტოკჰოლმში და შინ სძლია ფრანგებს. ორივე შეხვედრაში აღინიშნა ერთნაირი ანგარიში — 1:0. ფრანგებს 2 თამაშიდან 2 ქულა აქვთ და, რა თქმა უნდა, არ ყრიან ფარ-ხმალს.

**მეექვსე ჯგუფში** (სსრ კავშირი, საბერძნეთი, ფინეთი) 6 ქულით ლიდერობენ საბჭოთა ფეხბურთელები, ბერძნებს 4 ქულა აქვთ, ფინელებმა კი სამივე შეხვედრა წააგეს.

**მეშვიდე ჯგუფში** (უნგრეთი, რუმინეთი, თურქეთი), სადაც უნგრელებს 6 და რუმინელებს 4 ქულა აქვთ, ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ერთი მატჩი. რუმინელები საკუთარ მინდორზე უმასპინძლებენ უნგრელებს, მაგრამ მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგება აძლევთ ხელს. საქმე ისაა, რომ უნგრელთა ბურთების სხვაობაა 9—0, რუმინელებისა კი 6—1.

**მერვე ჯგუფში** (შვეიცარია, იტალია, ლუქსემბურგი) ძირითადი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. ლუქსემბურგი აშკარა აუტსაიდერია, მაგრამ ახლანდელ ლიდერებს — შვეიცარიელებს (2 თამაშიდან 3 ქულა), რომლებმაც ერთადერთი ქულა შინ იტალიელებთან დაკარგეს (0:0), მძიმე გასვლითი მატჩი მოელით უშუალო კონკურენტთან. მიმომხილველები მიელიან, რომ ფინალში სწორედ იტალიელები გავლენ.

შესარჩევი თამაშები გაისად 5 თებერვლისთვის უნდა დამთავრდეს.

მ. ბადრიძე.

● ფეხბურთი

# ზოგი რამ დღევანდელ „ჰამბურგზე“

## ჩამპიონთა თასის მატჩის წინ

**დასავლეთ** გერმანიის ფეხბურთში კარგა ხანს ბატონობდნენ მიუნხენის „ბაიერნი“ და მიონხენგლადბახის „ბორუსია“. 1978 წელს „კიოლნმა“ მწვრთნელ ჰ. ვაისვაილერის ხელმძღვანელობით, როგორც იქნა, ზღვარი დაუდო მათს ჰეგემონიას, 1979 წელს კი ჩემპიონი გახდა „ჰამბურგერ შპორტფერაინი“. მიმომხილველთა აზრით, ეს სავსებით დამსახურებული იყო, ხოლო თვით ვაისვაილერმა, გფრ-ის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო ავტორიტეტულმა სპეციალისტმა, ჟურნალისტებს განუცხადა:

— ნეცერ-ზებეცის დუეტი და „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ ახალ ერას იწყებენ ჩვენს საკლუბო ფეხბურთში. ძალიან ძნელი იქნება მათთვის ჩემპიონობის წართმევა.

და, აი, დაიწყო 1979-80 წლების ეროვნული ჩემპიონატი. ახლა უკვე რამდენიმე კლუბის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იბრძოლებენ პირველი ადგილისთვის, მათ შორის ბოლო ჩემპიონატის სამივე პრიზიორი — „ჰამბურგი“, „შტუტგარტი“, „კაიზერსლაუტერნი“.

**ნეცერი** და **ზებეცი** დიდი ხანი არაა რაც ერთად მუშაობენ, მაგრამ საუკეთესო შედეგი აქვთ. მიმომხილველები იხსენებენ ნეცერის განცხადებას 1978-79 წლების სეზონის დასაწყისში: „რაც ვერ მოახერხეს „ჰამბურგის“ ადრინდელმა მწვრთნელებმა კრონმა და კლიოცერმა, იმას მე გავაკეთებ“. და გააკეთა კიდეც.

„ჰამბურგი“ მიმდინარე სეზონში სტაბილური შემადგენლობით თამაშობს. კარში უცვლელად დგას 27 წლის **კარგუსი**. მას ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარის რეპუტაცია აქვს. ადრე ნაკრებშიც გამოსულა. თავისი ავტორიტეტით კარგუსი ჩამოუვარდება მხოლოდ განთქმულ მაიერს და ითვლება ისეთივე მეკარედ, როგორიც მაიერის ახლანდელი შემცვლელი ბურდენსკი გახლავთ. საყურადღებოა, რომ 1978-79 წლების ჩემპიონატში კარგუსმა გაუშვა ყველაზე ნაკლები ბურთი — 32, გფრ-ის პირობებში, სადაც კლუბები ღია ფეხბურთს თამაშობენ, ეს ბევრი არ არის.

დაცვის ნამდვილ ბურჯად ითვლება **ნოგლი** — **კალცის** წყვილი. 32 წლის სტოპერი ნოგლი გუნდის ყველაზე ძველი წევრია. იგი ამ კლუბში ჯერ კიდევ 1967 წელს ჩაირიცხა, მიმდინარე სეზონში კი თითქმის ყველა მატჩში საუკეთესოდ იქნა აღიარებული. ნოგლი თამაშობს ზუსტად და საიმედოდ, ადრე არაერთგზის გამოსულა ნაკრებში, რომლის რიგები დატოვებინეს მხოლოდდამხოლოდ ასაკის გამო. იგი „ჰამბურგის“ კაპიტანიც არის. მისი მეწყვილე, დაცვის ცენტრი კალცი, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ამას წინათ მოხდა საინტერესო რამ: არგენტინის ჟურნალმა „ელ გრაფიკომ“ თანამედროვე ფეხბურთის 11 ვარსკვლავს თხოვა შეედგინა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები. მათ რიცხვში იყო კალციც, რომელმაც ცენტრალურ მცველად დაასახელა... კალცი. ეს ტრაბახი არ გახლავთ, ვინაიდან ამავე ადგილზე კალცი დაასახელეს სხვა ვარსკვლავებმაც: პეცეიმ. კონცილიამ (ორივე — ავსტრია), ზიკომ და ლეაომ (ორივე — ბრაზილია). საინტერესოა, რომ კალცი წლეულს მონაწილეობდა მსოფლიოს ნაკრების მატჩში ბუენოს-აირესში არგენტინელთა წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. კალცი 26 წლისაა, სისტემატურად გამოდის ეროვნულ ნაკრებში და, ეტყობა, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატშიც ითამაშებს. გუნდში იგი ასრულებს 11-მეტრიან დარტყმებს.

განაპირა მცველები არიან **ჰიდიენი** (25 წლის) და 30 წლის იუგოსლავიელი **ბულიანი**, რომელიც სპლიტის „ჰაიდუკიდან“ გადმოვიდა. ბულიანი არა მარტო კარგად ასრულებს თავის ძირითად მოვალეობას, არამედ ხშირად ერთვის იერიშში, უტევს ფლანგიდან და გოლებიც გააქვს. ამასწინანდელ მატჩში „აინტრაჰტთან“ (მაინის ფრანკფურტი), რომელიც ჩემპიონმა წააგო — 2:3, იუგოსლავიელმა ორივე გოლი გაიტანა. ბულიანის ამ შეტევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მწვრთნელი ზებეცი უჩივის მაღალი კლასის გარემარბის უყოლობას.

ზოგი მიმომხილველი „ჰამბურგის“ უძლიერეს რგოლად შუა ხაზს მიიჩნევს. აქ უკანასკნელ ჩემპიონატში თითქმის უცვლელად თამაშობდნენ **მაგათი**, **მემერინგი** და **ჰარტვიგი**, ახლა კი მათ **იაკობსიც** დაემატა. გუნდის კომბინაციებში დიდ როლს ასრულებს გამთამაშებელი **მემერინგი** (26 წლისა). მან 1978-79 წლების ჩემპიონატში დიდი ყურადღება მიიქცია და მწვრთნელმა დერვალმა ნაკრებშიც მიიწვია. იგივე ითქმის 24 წლის შავკანიან ფეხბურთელ ჰარტვიგზე, რომელიც გუნდში „მიუნხენ 1860“-დან მოვიდა. 26 წლის მაგათს მდიდარი ტექნიკა აქვს და საშიშია ინდივიდუალური აქციებისას. ისიც გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება. საერთოდ, ნაკრების მწვრთნელ დერვალს მჭიდრო კონტაქტი აქვს ნეცერსა და ზებეცთან. გუნდში ახლად გადმოსული იაკობსი (იგი ადრე „დუისბურგში“ თამაშობდა) კარგად შეეწყო კოლექტივს. უკანასკნელ მატჩებში იგი საუკეთესოთა შორის იქნა დასახელებული. სხვადასხვა შეხვედრებში მინდორზე გამოდის 3 ან 4 ნახევარმცველი, ეს ხაზი მეტად მობილური და ბრძოლისუნარიანია.

თავდასხმის ლიდერად, ცხადია, 28 წლის **კიგანი** ითვლება. კიგანი „ჰამბურგში“ 1977 წელს გადმოვიდა „ლივერპულიდან“, პირველი სეზონი უფერულად ჩაატარა, შემდეგ კი შეეჩვია კოლექტივს და ახლა გფრ-ის უძლიერეს ფეხბურთელად არის აღიარებული, ამავე დროს ინგლისის ნაკრების კაპიტანია და უცვლელად მონაწილეობს მის მატჩებში. ისიც ცნობილია, რომ ინგლისელთა მწვრთნელს რ. გრინვუდს არ უყვარს უცხოეთში წასული ფეხბურთელები და ერთადერთ გამონაკლისს მხოლოდ კიგანისთვის აკეთებს. ინგლისელი ფეხბურთელის ოსტატობის დიდი აღიარება იყო ევროპის № 1 ფეხბურთელად მისი მიჩნევა და „ოქროს ბურთის“ გადაცემა. „ჰამბურგისთვის“ იგი დირიჟორიც არის და სნაიპერიც. ბუნდესლიგის სნაიპერთა შორის მან მეოთხე ადგილი დაიკავა (17 ბურთი), ჩამორჩა მხოლოდ კ. ალოფსს (დიუსელდორფის „ფორტუნა“, გაიტანა 22 ბურთი), ფიშერს („შალკე 04“, 21) და აბრამჩიკს („შალკე 04“, 18). მიმდინარე სეზონი კიგანმა წარუმატებლად დაიწყო, პირველი ბურთი მხოლოდ მერვე ტურში გაიტანა, მაგრამ ახლა, მიმომხილველთა ცნობით, თანდათან უკეთ თამაშობს. ეს კია, რომ 1980 წლიდან კიგანი უკვე აღარ აპირებს „ჰამბურგში“ დარჩენას. იგი, როგორც უკვე გამოცხადდა, გადადის აშშ-ის ლიგის კლუბ „ვაშინგტონ დიპლომატსში“ და ამით, ეტყობა, ამთავრებს თავის კარიერას.

„ჰამბურგში“ შარშან ესენის „როტ-ვაისიდან“ გადმოსული **ჰრუბეში** (28 წლისა) შედეგიანი თავდამსხმელია და კიგანთან ერთად მძლავრ დუეტს ქმნის. ცალკეულ მატჩებში მონაწილეობენ, აგრეთვე, **რაიმანი**, **პლოიკენი** და **ვემაიერი**. წლევანდელ მატჩებში „ჰამბურგის“ თავდამსხმელებმა მაღალი შედეგიანობა აჩვენეს. ეს განსაკუთრებით შეეხება დას. ბერლინის „ჰერტასთან“ (5:1) და 1978 წლის ჩემპიონ „კიოლნთან“ (3:0) შეხვედრებს. მიმომხილველთა ცნობით, ამ უკანასკნელ მატჩში (VIII ტური), პირველად ამ სეზონში სრული ძალით ითამაშა კიგანმა, რომელიც ჩინებულად ხელმძღვანელობდა პარტნიორებს და ბურთიც გაიტანა.

ერთი სიტყვით, „ჰამბურგს“ აღიარებული ვარსკვლავებიც ჰყავს და გამოცდილ ოსტატთა მთელი წყებაც. მათზე დაყრდნობით გუნდის ხელმძღვანელები ორ კონკრეტულ ამოცანას უსახავენ: გფრ-ის ჩემპიონობის შენარჩუნებას და ჩემპიონთა თასზე წარმატებით ბრძოლას.

გ. თორელი.

## მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ მოაწყო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა.

საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად ერთ საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვდნენ ჩეხოსლოვაკიის, უელსის, თურქეთისა და ისლანდიის გუნდები.

## მესამე ადგილზე

**ქალაქ** კაზატინში (უკრაინა) დამთავრდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ფინალური ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკებს (1963-64 წლებში დაბადებულნი) შორის.

ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს ღირსებას იცავდა თბილისის „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდი (დირექტორი რ. რაზმაძე, მწვრთნელები ბ. გეგენავა, ა. პაიჭაძე).

ფინალურ ტურნირში მონაწილეობდა 8 გუნდი, რომლებიც დაყოფილი იყვნენ 2 ქვეჯგუფად. ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ოდესის (1:0) და ტაშკენტის (2:1) გუნდები, ხოლო მოსკოვის გუნდთან ფრედ (0:0) ითამაშეს. ბურთების უარესი შეფარდებით თბილისელებმა ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავეს და ამიტომ მესამე ადგილისთვის მოუწიათ ბრძოლა ქალაქ გორკის გუნდთან. ეს მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0 და III ადგილი დაიკავეს.

თ. ჯაში.

## ვეტერანთა მატჩები

თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა ამას წინათ ამხანაგური მატჩები გამართეს წალკასა და გუდაუთაში.

წალკაში ვეტერანებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ბურთი გაიტანა მ. ხურცილავამ.

ძალზე საინტერესო იყო შეხვედრა გუდაუთის „ავტომობილისტთან“. აქ დინამოელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 2:1, ბურთები გაიტანეს ს. მეტრეველმა და ლ. ნოდიამ.

ვეტერანთა რიგებში იყვნენ რ. ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ა. ილიადი, ა. ხელაძე, მ. ხურცილავა, დ. ხუნდაძე, გ. გაგუა, ბ. მჭედლიშვილი, ზ. კალოევი, ს. მეტრეველი, ლ. ნოდია, ფ. რეხვიაშვილი, ლ. ჟორდანია და სხვები.

ი. მჭედლიშვილი.

## უცხოეთის სტადიონებზე

### ახალი მწვრთნელი

1980 წლის 1 იანვრიდან შვეციის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუდგება ახალი მწვრთნელი — ლ. არნესონი, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა ჯ. ერიქსონი. ახალი მწვრთნელი ადრე შვეციის ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა.

### ფედერაციის გადაწყვეტილება

დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა აღარ ათხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კლუბებს არც ერთი ფეხბურთელი, ვინაიდან იქიდან შინ თითქმის არავინ ბრუნდება.

● ფეხბურთი

### დანიშნეს ჰერსტი

ინგლისის ერთ-ერთი უძველესი გუნდის „ჩელსის“ (იგი ამჟამად II ლიგაში გამოდის) მწვრთნელი ბლენჩფლაუერი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად დანიშნეს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჰერსტი.

### ქალები და ფეხბურთი

ბრაზილიაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ფეხბურთი... ქალთა შორის. რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა ფეხბურთელ ქალთა პირველი არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. მაღალი ტექნიკის უქონლობას, — წერს ბრაზილიის პრესა, — მონაწილეები სპორტული აზარტით ავსებდნენ. როგორც ფეხბურთის მიმომხილველები იტყობინებიან, არც ერთი მატჩი არ ჩატარებულა სერიოზული ტრავმების გარეშე.

# ქრონიკა

● ჭადრაკი

## ლიდერის მტკიცე პოზიცია

**რიო-დე-ჟანეიროში** (ბრაზილია) გრძელდება მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა საზონათშორისო ტურნირები.

ქალთა ასპარეზობის XIV ტურში ლიდერმა ნ. იოსელიანმა ბოლოსდაბოლოს პირველი ყაიმი გააკეთა რუმინელ ე. პოლიქრონიადესთან. იუგოსლავიელმა მ. ლაზარევიჩმა სძლია ნ. ალექსანდრიას. ყაიმით დამთავრდა ტ. ზატულოვსკაიას პარტია უნგრელ ჟ. ვერეცისთან, ხოლო ვ. კოზლოვსკაიას შეხვედრა არგენტინელ ე. სოპესთან გადაიდო.

მე-14 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. იოსელიანმა მე-12 პარტია მოიგო — დაამარცხა ი. მაილსი (ინგლისი). ალექსანდრიამ დაამარცხა არგენტინელი ე. სოპესი და კუბელი ლ. დეკარვაილი, ხოლო წააგო ვერეცისთან. კოზლოვსკაიამ დაამარცხა კარვაილი და ყაიმზე შეთანხმდა პოლიქრონიადესა და სოპესთან, ზატულოვსკაიამ წააგო ბ. ბორისოვასთან (შვეცია).

ახლა 14 ტურის შემდეგ იოსელიანს 12,5 ქულა აქვს, ვერეცის — 10, ლაზარევიჩს და ალექსანდრიას — 9,5-9,5, კოზლოვსკაიას — 8,5, პოლიქრონიადეს — 8 (1). ზატულოვსკაიას 6 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

* * *

ვაჟთა ტურნირში მე-16 ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრებისას პორტიშმა მოუგო კანადელ ქ. ებერს, ფილიპინელმა ე. ტორემ — ბრაზილიელ ჟ. სუნიეს. ყაიმით დამთავრდა ჰიუბნერ — გ. გარსიას (კუბა), ბალაშოვ — დ.ველიმიროვიჩის და ბ. ივკოვ (ორივე — იუგოსლავია) — ვაჰანიანის შეხვედრები.

შედგა მე-16 ტური. წინაა ჰიუბნერი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს და ირანელ ჰ. ჰარანდისთან გადადებული პარტია. 9-9 ქულა მოაგროვეს პეტროსიანმა და პორტიშმა, მათაც თითო გადადებული პარტია აქვთ. მეოთხე ადგილზეა ჰოლანდიელი ი. ტიმანი, რომელმაც მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა საქსთან. ტიმანს 8 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. 8 ქულა დააგროვეს, აგრეთვე, ვაჰანიანმა და საქსმა.

● სროლა

## ყველა ღირსების ჯილდო

**იტალიის** ქალაქ მონტეკატინიში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი სტენდზე ადგილიდან სროლაში, სადაც გაიმარჯვეს საბჭოთა მსროლელებმა: ი. კლეკოვამ (კიევი) და ლ. ტიუშკინამ (ვორონეჟი) 394 სამიზნე დააზიანეს 450-დან. მომდევნო ადგილებზე არიან იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები.

ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედლები მოიპოვეს იტალიელებმა (568 ქულა), საბჭოთა გუნდი გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა.

პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეოთხედ მოიპოვა საფრანგეთის წარმომადგენელმა მ. კარეგამ — 194 ქულა. ალმაათელი ა. ასანოვი მეორე ადგილზეა — 193 ქულა.

ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა კანადელმა ს. ნატრასმა — 189 ქულა. კლეკოვამ და ტიუშკინამ დაიკავეს მომდევნო ადგილები — 185 და 176 ქულა.

იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა იტალიელი მ. ვენტურინი — 192 ქულა. მოსკოველმა ე. ორეშკინმა მოიპოვა ვერცხლის მედალი — 190 ქულა.

● კრივი

## 10-10 საბჭოთა და ამერიკელი მოკრივე

**ნიუ-იორკის** უდიდესი სპორტული კომპლექსის „მედისონ სკვერ-გარდენის" დარბაზში მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში გამოირკვნენ ნახევარფინალის მონაწილე მოკრივეები. ამ ეტაპზე ყველაზე კარგად გამოდიან საბჭოთა და აშშ-ს მოკრივეები, რომლებიც ნახევარფინალში 10-10 სპორტსმენით იქნებიან წარმოდგენილი. საყოველთაო ინტერესს იწვევს საბჭოთა მოკრივეთა გამოსვლა. ისინი ლამაზი და ტექნიკური ბრძოლის მანერით გამოირჩევიან. ხუთმა საბჭოთა მოკრივემ ვადამდე დაამთავრა თავიანთი ბრძოლები: დემიანენკომ, შინმა და ინჯოიანმა მეტოქეები ნოკაუტში ჩააგდეს, ხოლო კოშკინის ბრძოლა ფილიპინელ კრუზთან პირველი რაუნდის მესამე წუთზე შეწყდა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო.

ნახევარფინალში საბჭოთა და ამერიკელ მოკრივეთა გარდა გამოდის 11 ქვეყნის 24 მოკრივეაი, ვის შეხვდებიან საბჭოთა მოკრივეები ნახევარფინალში: კ. სავჩენი — ავსტრალიელ უ. ჯონსტონს, ა. ნიკიფოროვი — პუერტორიკოელ ა. მერკადოს, ვ. რიბაკოვი — სამხრეთკორეელ იმ ზიუნგ-ჯონს, ვ. დემიანენკო — პუერტორიკოელ მ. დომინგეს, ს. კონაკბაევი — ნ. აზუმოს (განა), ი. კოშკინი — ავსტრალიელ დ. ჰოლს, ჰ. ჯაბრაილოვი — ამერიკელ ჯ. შულერს, ვ. შინი — ამერიკელ ა. რეიმოს, ა. ნიკოლიანი — პუერტორიკოელ დ. ჯექსონს, ხ. ინჯოიანი — ჯ. მენსახს (განა).

● სამბო

## უხვი ნადავლი

**მადრიდი.** საბჭოთა იუნიორებმა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ჭიდაობა სამბოში მოიპოვეს 4 ოქროს და 5 ვერცხლის მედალი, ხოლო მოზრდილებმა ამ ნადავლს დაუმატეს 7 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი. საბჭოთა სამბისტებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბულგარეთისა და მონგოლეთის მოჭიდავეები.

მსოფლიო ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს: ი. კრუგლოვმა (52 კგ), ხ. გარეევმა (57), ე. ესინმა (62), ნ. ბარანოვმა (74), ა. პუშნიცამ (90), გ. მალენკინმა (100) და მძიმეწონოსანმა ვ. შკალოვმა. ვერცხლის მედლები აქვთ ნ. ხალიულინს (48 კგ) და კ. გერასიმოვს (68).

48 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ტეგჩე და 68 კგში — დამდინი (ორივე — მონგოლეთი). ესპანელი ხ. სეჩინი პირველი იყო 82 კგ წონით კატეგორიაში.

ესპანეთის სპორტული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მოჭიდავეთა დიდ წარმატებას, აღნიშნავს მათს საუკეთესო ტექნიკას და ნებისყოფას.

● მშვილდოსნობა

## მთავარი პრიზი — საბჭოთა სპორტსმენებს

**იტალიის** ქალაქ მილანში გაიმართა მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. მასში 10 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ტაშკენტელი ნ. ბუტუზოვა, რომელმაც მ-1 ვარჯიშის ჯამში 1300 ქულა მოაგროვა. **თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. ლოსაბერიძე II ადგილზე გავიდა — 1289.**

ვაჟებში უძლიერესი იყო ჩიტელი ვ. ეშეევი — 1305 ქულა. მასვე მიეკუთვნა მთავარი პრიზი „კოლიე ამბროზიანო". გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა 3862 ქულა მოაგროვეს და პირველობა მოიგეს.

ვაჟთა შეჯიბრებაში II და III ადგილებზე გავიდნენ მასპინძლები: თბილისელი გულშემატკივრებისთვის საგაზაფხულო საერთაშორისო სტარტებით ცნობილი ჯ. ფერარი (1296 ქულა) და ს. სპიგარელი (1277).

● ველოსპორტი

## მესამე „ოქრო"

**ბუენოს-აირესში,** იუნიორ ველოსიპედისტთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ორ სახეობაში გათამაშდა მედლები. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი დ. ლიეპინში, გ. ლაპინში (ორივე — რიგა), ა. პეტროვი (ლენინგრადი) და ვ. ბალიუკი (ვინიცა), ფინალში თითქმის 60 მეტრით ჩამოიტოვა საფრანგეთის „კვარტეტი" და შესანიშნავი დრო (4.36,50) აჩვენა.

სპრინტერთა ტურნირში თბილისელმა ე. გელაშვილმა IV ადგილი დაიკავა.

უკანასკნელი სახეობის (გზატკეცილზე ჯგუფური რბოლა) წინ საბჭოთა ველოსიპედისტებს 3 ოქროსი და 2 ვერცხლის მედალი აქვთ.

● ფრენბურთი

## გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე

**ფრენბურთელთა** ევროპის XI ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდმა მეშვიდედ დაისაკუთრა კონტინენტის ჩემპიონის წოდება. ლიონში, ქალთა გუნდების დასკვნით მატჩში, ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 (15:10, 15:7, 15:7) დაამარცხა გდრ-ის გუნდი და მეათედ მოიპოვა ევროპაში უძლიერესის სახელი. გდრ-ის სპორტსმენებს ვერცხლის მედლები გადაეცათ, ბულგარელებს — ბრინჯაოსი.

პოლონეთისა და იუგოსლავიის ვაჟთა გუნდების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ვერცხლის მედლების მფლობელთა ვინაობა. გაიმარჯვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა (3:0) და II ადგილი დაიკავეს. იუგოსლაველი ფრენბურთელები III ადგილზე დარჩნენ.

● კალათბურთი

## ჩემპიონი თებერვალში გამოვლინდება

**დღეს** მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში სტარტს აიღებს კალათბურთელ ქალთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატი. დედაქალაქში პირველ მატჩებს გამართავენ „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი), მოსკოვისა და კიევის „დინამო", ალმა-ათის „უნივერსიტეტი", ცსკა და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — პენზის „სპარტაკი"; ნოვოსიბირსკში იასპარეზებენ ქვეყნის ჩემპიონი — რიგის ტტტ, ვილნიუსის „კიბირკშტისი", ლენინგრადისა და მოსკოვის „სპარტაკი", სვერდლოვსკის „ურალმაში" და ადგილობრივი „დინამო".

12 გუნდი ჯერ 2-2-ჯერ შეხვდება ერთმანეთს, შემდეგ უძლიერესი ექვსეული წრიული სისტემით იბრძოლებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში განლაგებული დარჩენილი 6 გუნდი გაითამაშებს მე-7 — მე-12 ადგილებს. ჩემპიონატი თებერვლის ბოლოს დამთავრდება. (საკდესი).

# ორი თბილისელი — ფინალში

**თბილისის** ცენტრალურ ველოდრომზე გრძელდება ველოსიპედისტთა საერთაშორისო ტურნირი — „ექვსი დღე თბილისში" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში. თუ პირველი ტურნირი ჩვენს დედაქალაქში სიახლე არაა, სალიდერო რბოლაში ოქროს მედლები თბილისში პირველად გათამაშდება.

ხისსაფარიან ოვალში ჩემპიონობისთვის იბრძვის რამდენიმე წყვილი, რომელთა შორის არიან სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენები და ექს-რეკორდსმენები.

უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. წარმატებით ასპარეზობენ თბილისელები ო. პროკოპენკო (ლიდერი ი. კავსაძე) და ვ. პოპოვი (ვ. ტკაჩენკო). მათ გარდა გადამწყვეტი ბრძოლების უფლება მოიპოვეს ტულელმა ვ. გუბენკომ (ე. ვლასოვი), რომელმაც ამას წინათ აქვე მეგობრული არმიების ველოსიპედისტთა შეჯიბრების დროს 50 კილომეტრზე სალიდერო რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, და მოსკოველმა ა. კრასკოვმა (ა. შოპინი).

მაყურებლები საინტერესო ბრძოლების მოწმენი არიან სპრინტში, გამოდევნებით გუნდურ და ინდივიდუალურ რბოლებში, წყვილთა შეჯიბრებებში, ჯგუფურ ტურნირებში გამართულ შეჯიბრებებში.

სპრინტერებმა დავა უკვე დაამთავრეს. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი ს. ჟურავლიოვი და თბილისელი ოსტატი გ. დვალიშვილი. მათ მანამდე ყველა მეტოქის დამარცხება შეძლეს. ფინალში დვალიშვილმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როცა ფინიშამდე 500 მეტრით ადრე სცადა დაწინაურება. მართალია, იგი მოწინავე პოზიციებს ერთხანს ინარჩუნებდა, მაგრამ მდევარმა ჟურავლიოვმა ბოლო 60 მეტრში შეძლო ახალგაზრდა მეტოქისთვის ხელიდან გამოეგლიჯა გამარჯვება.

ამ შეჯიბრებაზე უკვე დაიბადა ახალი მსოფლიო რეკორდი. ლენინგრადელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ცარიოვამ 200 მეტრზე სვლით გააუმჯობესა 24 წლის წინ ირკუტსკის ტრეკზე ლ. რაზუვაევას მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი, რომელიც 12,30 წამს უდრიდა. ცარიოვას მაჩვენებელი 12,18 მსოფლიო რეკორდსაც აღემატება.

100 წრეზე ათი საშუალედო ფინიშით შეჯიბრებაში მონაწილეებმა უკვე სამი ეტაპი გაიარეს. სამი დღის ბრძოლის ჯამში დაწინაურდა ლენინგრადელი ა. კულიკოვი, რომელსაც 37 ქულა დაუგროვდა. უძლიერესის ვინაობა ამ სახეობაში ცნობილი გახდება კიდევ სამი ეტაპის შემდეგ.

• • •

**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





რედაქტორი ა. ბასილაია.


„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74)
16 ოქტომბერი
სსრ კავშირის პირველობა
**ფეხბურთი**
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)
ხათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 საათზე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 02381